ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. აპრილის 10. № 4 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

**სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.**

54. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შეცვლის შესახებ.

## სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

### 54. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი № ი, მუხ. 7) მე-2 მეხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ვიდრე გამოიცემოდეს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის მომქმედ საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებანი:

I.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის VIII, IX, X, XI, XII, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII და XIX თავები შეიცვალოს შემდეგი დროებითი წესებით სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოებისათვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დროებითი წესები

### სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოებისათვის.

#### თავი პირველი.

#### ზოგადი საკითხები.

1. წანასწარ გამოკვლევას აწარმოებენ გამომძიებლები, სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს ორგანოები, მილიცია, სისხლის საქმეთა სამძებრო, სპეციალური ინსპექციები მათი გამგებლობის საქმეთა გამო, შინაგანი წყალსავალი გზების სანაოსნო ზედამხედველობის ორგანოები მათი გამგებლობის საქმეთა გამო, და ხელისუფლების სხვა ისეთი ორგანოები, რომელთაც სპეციალური კანონით მინიჭებული აქვთ დანაშაულის გამოკვლევის უფლება.

2. გამოკვლევის ყველა ორგანოს მუშაობის საერთო ზედამხედველობას და აგრეთვე გამომძიებლის მიერ წარმოებული წინასწარი გამოკვლევის უშუალო მეთვალყურეობას განახორციელებს პროკურატურა. 1-ლ მუხლში აღნიშნულ-დანარჩენ ორგანოთა (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოთა გარდა) მიერ წარმოებული წინასწარი გამოკვლევის უშუალო მეთვალყურეობას განახორციელებს ის გამომძიებელი, რომლის უბანშიაც გამოკვლევა ხდება.

მეთვალყურე ორგანოს უფლება აქვს ყოველ დროს გაეცნოს გამოკვლევის წარმოებას და მისცეს გამომკვლევს სავალდებულო წინადადებანი.

უკეთუ გამომკვლევი არ დაეთანხმება მეთვალყურე ორგანოს წინადადებას, მას შეუძლიან განასაჩივროს იგი ზემდგომ ორგანოში, ხოლო ვერ შეაჩერებს ამ წინადადების შესრულებას.

ზემდგომი ორგანოს დირექტივი საბოლოოა.

**შენიშვნა.** მეთვალყურეობის გაწევა სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს ორგანოთა მიერ წარმოებული გამოკვლევისათვის მოწესრიგდება განსაკუთრებული წესებით.

3. გამოკვლევას მოახდენს ის ორგანო, რომლის სამოქმედო რაიონშიაც ჩადენილია დანაშაული, ხოლო იმ მიზნით, რათა დანაშაული რაც შეიძლება სწრაფად და სრულად ან უფრო მოხერხებულად იქნეს გამოკვლეული, გამოკვლევა შეიძლება, მეთვალყურე ორგანოს ნებართვით, მოხდეს დანაშაულის აღმოჩენის ადგილას, ან დამნაშავის, ან და დაზარალებულის საცხოვრებელ ადგილას. ამ საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს ის მეთვალყურე ორგანო, რომლის რაიონშიაც დაწყებულია გამოკვლევა.

4. უკეთუ გამომკვლევ ორგანოსათვის საჭირო იქნება ზოგიერთი ცალკეული მოქმედების შესრულება სხვა რაიონში, მას შეუძლიან ამ მოქმედების შესრულება მიანდოს აღნიშნული რაიონის სათანადო გამომკვლევ ორგანოს ან თითონ შეასრულოს იგი დამოუკიდებლად. ასეთ შემთხვევაში გამოკვლევის ორგანო ვალდებულია მის მიერ შესრულებული მოქმედება აცნობოს, მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ, ადგილობრივ პროკურორს ან გამომძიებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ორი ან რამოდენიმე საქმე შეიძლება გაერთიანებულ იქნეს ერთ საქმედ იმ შემთხვევაში, უკეთუ პასუხისგებაში მიცემულია რამდენიმე პირი ერთსა და იმავე დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, ან ერთი პირი რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

6. იმ დანაშაულთა საქმეების გამო, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის $58^{2}$—$58^{14}$, $58^{16}$, $58^{17}$, $58^{17}$ბ მუხ., $58^{18}$ მუხ. მე-2 ნაწ., $58^{19}$ და $58^{27}$ მუხ. მე-3 ნაწ., 70 და 71 მუხ., 72 მუხ. 1 ნაწ., 78, 114, 115 და 117 მუხ. 118 მუხ. 1 ნაწ., 120—127, 134—136, 138, 142, 143, $143^{1}$ და 144—154 მუხ., 156 მუხ. მე-2 ნაწ., 157 მუხ., 159 მუხ. მე-2 ნაწ., 160, 162, 167, 169 და 170—173 მუხ., 177 მუხ. „ზ“ პუნქ., 180 მუხ. მე-3 ნაწ., 181 მუხ. და 185 მუხ. 3 ნაწ. და აგრეთვე საგვარეულო ყოფაცხოვრების ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა დებულების 1 მუხლით, წინასწარ გამოკვლევას მოახდენს გამომძიებელი. სხვა დანაშაულის საქმე შეიძლება გამოიკვლიოს გამომძიებელმა როგორც პროკურორის წინადადებით, ისე საკუთარი ინიციატივით, უკეთუ საქმე განსაკუთრებით რთულია ან მას განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

გამომძიებელს შეუძლიან ამა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ყოველი საქმის გამოკვლევა, პროკურორის ნებართვით, გადასცეს გამოკვლევის სხვა ორგანოს, იმ საქმეებს გარდა, რაც უზენაეს სასამართლოს ექვემდებარება.

პროკურორს შეუძლიან თითონ იკისროს როგორც ცალკეულ საგამომძიებლო მოქმედებათა შესრულება, ისე ყოველი საქმის გამოკვლევა.

**შენიშვნა.** ყველა ის შემთხვევა, როდესაც ამა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეები სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებმა უნდა გამოიკვლიონ, განისაზღვრება სპეციალური კანონებით.

7. მე-6 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეების წინასწარი გამოკვლევა დამთავრებულ უნდა იქნეს გამოკვლევის დაწყების დღიდან ორი თვის ვადაზე, ხოლო დანარჩენ დანაშაულთა საქმეებისა—ერთი თვის ვადაზე, რომელ ვადაშიაც ჩაითვლება აგრეთვე აქტი სამართალში მიცემისა ან სისხლის სამართლის წესით დევნის მოსპობის შესახებ. ამ ვადის განგრძობა ცალკეული საქმეებისათვის, პირველ შემთხვევაში—4 თვემდე, ხოლო მეორე შემთხვევაში—2 თვემდე, შეიძლება მხოლოდ სათანადო ადგილობრივი პროკურორის ან გამომძიებლის ნებართვით, მათი დასაბუთებული დადგენილების თანახმად. ამაზე მეტი ხნით ვადის განგრძობა, აგრეთვე აღნიშნული ვადების საერთო განგრძობა რესპუბლიკის რომელიმე ადგილისათვის, უკეთუ ეს გამოწვეულია ადგილობრივი პირობებით, შეუძლიან რესპუბლიკის პროკურორს.

8. ყოველი საქმის წინასწარი გამოკვლევა შეიძლება დაწყებულ იქნეს გამოკვლევის ყოველი ორგანოს მიერ, გარდა სპეციალური ინსპექციისა და შინაგანი წყალსავალი გზების სანაოსნო ზედამხედველობის ორგანოებისა, რომელთაც შეუძლიანთ გამოიკვლიონ მხოლოდ თავისი გამგებლობის საქმეები. ხოლო უკეთუ საქმე დაწყებულია არა გამომძიებლის მიერ და შეიცავს 6 მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი დანაშაულის ნიშნებს, გამოკვლევის დამწყები ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს ამას გამომძიებელს; ამასთანავე იგი არ შეაჩერებს ყველა იმ მოქმედების შესრულებას, რაც საჭიროა შემდგომი გამოკვლევის უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოფად. საჭირო მოქმედების შესრულებისას, გამომკვლევი ორგანო არ დაუცდის გამომძიებლის განკარგულებას და თვიური ვადის (7 მუხ.) გასვლას და გადასცემს საქმეს გამომძიებელს. გამომძიებლისათვის საქმის გადაცემის შემდეგ საგამომძიებლო მოქმედების შესრულება გამოკვლევის სხვა ორგანოს შეუძლიან მხოლოდ გამომძიებლის სპეციალური დავალებით.

9. გამოკვლევის ორგანო, მიიღებს თუ არა ცნობას ან მასალას ისეთი დანაშაულის ჩადენის შესახებ, რაც გამოკვლევას მოითხოვს, დაუყოვნებლივ შეუდგება გამოკვლევას და აცნობებს ამას: გამომძიებელი—მეთვალყურე პროკურორს, ხოლო გამოკვლევის სხვა ორგანო—სათანადო გამომძიებელს.

10. უკეთუ გამომძიებელი მისთვის საქმის გადაცემამდე შეკრეფილ მასალას საკმარისად სცნობს, იგი აღარ განაგრძობს გამოკვლევას, ხოლო ვალდებულია: ა) წაუყენოს ბრალდებულს ბრალდება; ბ) დაჰკითხოს ბრალდებულს; გ) წარუდგინოს მას საქმე და დ) შეადგინოს საბრალმდებლო დასკვნა.

11. გამოკვლევის ორგანო ვალდებულია გამოიკვლიოს ყველა გარემოება, როგორც ისეთი, რომელიც დაამძიმებს ან შეამსუბუქებს პასუხისგებაში მიცემული პირის პასუხისმგებლობას, აგრეთვე ისეთიც, რომელიც სრულიად გაანთავისუფლებს ამ პირს პასუხისმგებლობისაგან. გამოკვლევის ორგანოს უფლება არა აქვს უარი უთხრას ეჭვმიტანილს, გამომძიებაში მიცემულს და დაზარალებულს მოწმის ან ექსპერტის დაკითხვაზე და სხვა დამამტკიცებელი საბუთების შეკრეფაზე, უკეთუ საქმისათვის მნიშვნელობა ექნება იმ გარემოებას, რომლის გამორკვევის შესახებაც აღძრულია შუამდგომლობა.

აღნიშნულ თხოვნაზე უარის თქმას გამომკვლევი ორგანო აღნიშნავს რეზოლიუციის სახით განცხადებასა ან დაკითხვის ოქმზე და დაასახელებს უარის საფუძველს.

12. დანაშაულით დაზარალებულს შეუძლიან აღძრას პასუხისგებაში მიცემულისა და აგრეთვე იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც პასუხისგებაში მიცემულის მოქმედებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება, სარჩელი ზარალის შესახებ (სამოქალაქო სარჩელი) ეს სარჩელი, თანხის მიუხედავად, განხილულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

უკეთუ გამომკვლევი დაინახავს, რომ დანაშაულით დაზარალებულს ზარალი მიჰყენებია, იგი ვალდებულია განუმარტოს დაზარალებულს, რომ მას უფლება აქვს აღძრას სამოქალაქო სარჩელი.

13. უკეთუ სამოქალაქო სარჩელი აღძრულ იქნება, გამომკვლევი აღნიშნიშნავს რეზოლიუციით განცხადებაზე ან დაკითხვის ოქმზე, რომ დაზარალებული ცნობილია სამოქალაქო მოსარჩელედ, ან რომ მას ამაზე უარი ეთქვა. გამოკვლევის ორგანო ვალდებულია აგრეთვე მხარეთა თხოვნით, ხოლო, უკეთუ დანაშაულით ზარალი მოუვიდა სახელმწიფოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან მშრომელთ, თხოვნის გარეშეც, მიიღოს ღონისძიება სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის წესების თანახმად.

უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება გამომკვლევს შეუძლიან სამოქალაქო სარჩელის აღძვრამდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. უკეთუ გამოსაკვლევი დანაშაული გამოიწვევს, სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ქონების კონფისკაციას, გამომკვლევი, განაჩენის აღსრულების უზრუნველსაყოფად, მიიღებს უზრუნველყოფის ღონისძიებას იმისათვის, რომ პასუხისგებაში მიცემულის ქონება არ იქნეს გადამალული. უკეთუ გამოკვლევას არა გამომძიებელი აწარმოებს, უზრუნველყოფის ღონისძიების ხმარება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გამომძიებელს.

უკეთუ აღნიშნული ქონების შედგენილობაში მომქმედი საწარმო შედის, პროკურორს, გამომძიებლის წარდგენით, უფლება აქვს დანიშნოს ლიკვიდატორები ან შემნახველები იმ ორგანოსთან შეთანხმებით, რომელიც სახალხო მეურნეობის სათანადო დარგს განაგებს.

15. ყველა საგამომკვლევო მოქმედების შესახებ შესდგება ოქმი; ოქმს ხელს მოაწერენ გამომკვლევი და ის პირნი, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებდა ამა თუ იმ მოქმედებაში. უკეთუ ამ პირთაგან ვინმემ წერა-კითხვა არ იცის, მის მაგიერ ოქმს ხელს მოაწერს სხვა ვინმე, ვინც ოქმის შედგენას დაესწრო.

უკეთუ დაინტერესებული პირი ოქმის შინაარს არ დაეთანხმება, იგი ამას აღნიშნავს ოქმზე ხელის მოწერის დროს. უკეთუ რომელიმე პირი უარს იტყვის ოქმს ხელი მოაწეროს, გამომკვლევი ამას ცალკე აღნიშნავს ოქმში.

16. გამომკვლევის ყოველი მოქმედება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ხუთი დღის ვადაზე იმ დღიდან, როდესაც ეს მოქმედება დაინტერესებულ პირს ეცნობა.

საჩივარი გამომძიებლისა და სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს ორგანოთა მოქმედების გამო შეიტანება მეთვალყურე პროკურორთან, ხოლო დანარჩენ ორგანოთა მოქმედების გამო იმ უბნის გამომძიებელთან, სადაც უწყებული ორგანო მუშაობს. პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილება ასეთ შემთხვევაში საბოლოოა, იმ დადგენილების გარდა, რომლითაც აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრებაა შეფარდებული (50 მუხ.), ან მოსპობილია საქმე (54 მუხ.). ან და დაჯარიმებულია თავდები (48 მუხ.).

განსაჩივრებისათვის ზემოდ დადგენილი წესითვე უნდა მოხდეს გამომკვლევის ჩამოცილება, უკეთუ საამისოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული საბაბი იქნება.

## თავი მეორე

## **დამამტკიცებელი საბუთების შეკრება.**

17. დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება ყოველგვარი ფაქტიური ცნობა, რაც ცალცალკე თუ ერთობლივ ადასტურებს ან უარჰყოფს დანაშაულის ჩადენას, ამხელს ან ამართლებს პასუხისგებაში მიცემულს და ამძიმებს ან ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას.

18. დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის დადგენილება და გადაწყვეტილება, სარევიზიო აქტი, მოწმის ჩვენება, დათვალიერების, გაჩხრეკის და ამორკვევის ოქმი და სხვა წერილობითი დოკუმენტი, ექსპერტის დასკვნა, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი და პასუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხისგებაში მიცემულის პირადი ახსნა-განმარტება. სააგენტურო დამუშავება, უსახელო განცხადება, გავრცელებული ხმები და გულვება დამამტკიცებელ საბუთად არ ჩაითვლება.

19. მოწმეების და ექსპერტების დაკითხვა, საერთო წესით, გამოკვლევის ადგილას უნდა მოხდეს. უკეთუ დაზარალებული პირი ავადმყოფობის გამო ვერ შესძლებს დაკითხვაზე გამოცხადებას და უკეთუ დაკითხვის გადადება მის განკურნებამდე შეუძლებელია, გამომკვლევს შეუძლიან დაჰკითხოს მას იქ, სადაც ის იმყოფება (საავადმყოფოში ან სახლში). უკეთუ მოწმე საავადმყოფოშია, მისი დაკითხვისათვის საჭიროა ექიმის ნებართვა. გამოკვლევის ადგილიდან შორს მცხოვრები მოწმის დაკითხვა მოხდება ცალკეული მოთხოვნით გამოკვლევის სათანადო ორგანოს მეშვეობით.

20. არ შეიძლება მოწმედ დაბარებულ და დაკითხულ იქნეს ბრალდებულის დამცველი ისეთი საქმის გამო, რომელშიაც იგი ასრულებდა ან ასრულებს დამცველის მოვალეობას, და ყველა ის პირი, ვისაც თავისი ფიზიკური თუ ფსიქიური ნაკლის გამო არ შეუძლიან ამა თუ იმ მოვლენის შეთვისება და მის შესახებ სწორე ჩვენების მიცემა.

მოწმედ დაბარება მცირეწლოვანისა 10 წლამდე შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

21. დაკითხვამდე გამომკვლევმა უნდა გამოარკვიოს მოწმის ან ექსპერტის ვინაობა და მათი დამოკიდებულება მხარეებთან, უნდა განუმარტოს მათ, რომ ისინი მოვალენი არიან მისცენ მართალი ჩვენება თუ დასკვნა, და რომ პასუხს აგებენ ტყუილი ჩვენებისა და დასკვნის მიცემისათვის. მუნჯის, ყრუს ან გამომკვლევისათვის გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე პირის დაკითხვის დროს მიწვეულ უნდა იქნეს თარჯიმანი ან ისეთი პირი, რომელსაც მუნჯის თუ ყრუს სალაპარაკო ნიშნები ესმის.

22. მოწმის დაკითხვა იწყება იმით, რომ მას წინადადება ეძლევა სთქვას ყველაფერი, რაც კი საქმეზე იცის, რის შემდეგაც მას შეიძლება მიეცეს კითხვები.

მოწმე დაიკითხება ისეთი ფაქტების შესახებ, რაც გამორკვეულ უნდა იქნეს უწყებული საქმისათვის, და აგრეთვე პასუხისგებაში მიცემულის დახასიათების შესახებ. ამასთანავე დაკითხვა ისე უნდა სწარმოებდეს, რომ მთლად ამოიწუროს ყველა ის გარემოება, რის გამოსარკვევადაც დაბარებულია მოწმე, რათა შემდგომ, გამოკვლევის დროს, საჭირო აღარ გახდეს განმეორებით დაკითხვა.

დაკითხვის დროს მუქარისა და ძალადობის ხმარებისათვის გამომკვლევი მიიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

23. მოწმეები დაკითხულ უნდა იქნენ ცალ-ცალკე, სხვა მოწმეთა დაუსწრებლად. ამასთანავე გამომკვლევმა უნდა იხმაროს ღონისძიება, რათა ერთი და იმავე საქმის მოწმეები, დაკითხვის დასრულებამდე, არ შეხვდნენ ერთმანეთს. უკეთუ საჭირო იქნება, შეიძლება მოწმეები ერთი მეორეს პირისპირ წაეყენონ.

დაკითხვის დამთავრებისას ოქმი უნდა წაეკითხოს მოწმეს, რომელსაც უფლება აქვს შეავსოს თავისი ჩვენება ან შეიტანოს მასში შესწორება.

მოწმეს შეიძლება მიეცეს უფლება თავისი ჩვენება თვითონვე დასწეროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. ექსპერტი დაბარებულ უნდა იქნეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა სპეციალური ცოდნა მეცნიერებისა, ხელოვნებისა ან ხელოსნობის დარგში. კერძოდ ექსპერტის დაბარება სავალდებულოა სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების სიმძიმის და აგრეთვე ბრალდებულის თუ მოწმის ფსიქიური მდგომარეობის გამოსარკვევად, უკეთუ ამის გამო ეჭვი აღიძვრის.

ექსპერტის დაბარება სამეურნეო დანაშაულის საქმეთა გამო შეიძლება მხოლოდ პროკურორთან შეთანხმებით.

სამედიცინო ექსპერტიზას მოახდენს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, ხოლო, უკეთუ მისი დაბარება შეუძლებელია,—სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი ექიმი.

უკეთუ პასუხისგებაში მიცემული პირი მოითხოვს, ექსპერტად შეიძლება დაბარებულ იქნეს ის, ვისაც იგი დაასახელებს; ხოლო გამომკვლევს შეუძლიან უარი უთხრას პასუხისგებაში მიცემულს ამ ექსპორტის დაბარებაზე, უკეთუ იგი სცნობს, რომ დასახელებული ექსპერტის დაბარება ზედმეტია.

25. უკეთუ ექსპერტები ერთ აზრს დაადგებიან, ექსპერტიზის შედეგი შეიძლება გამოაცხადოს ერთ-ერთმა მათგანმა, მათ მიერვე არჩეულმა. ხოლო, უკეთუ ექსპერტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, თვითეული ექსპერტი თავის დასკვნას ცალ-ცალკე გამოსთქვამს. დასკვნის მიცემისას თვითეულ ექსპერტს შეიძლება კითხვები მისცეს გამომკვლევმა და აგრეთვე პასუხისგებაში მიცემულმა და დაზარებულმა, უკეთუ იგი ექსპერტიზას დაესწრება.

26. უკეთუ გამომკვლევი სცნობს, რომ ექსპერტიზა საკმაოდ ნათელი ან სრული არ არის, მას შეუძლიან, მეთვალყურე ორგანოს ნებართვით, დანიშნოს ახალი ექსპერტიზა, რისთვისაც ძველი ექსპერტიზის ოქმზე სათანადო წარწერით აღნიშნავს ახალი ექსპერტიზის საფუძველს.

27. ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება ყველა ის საგანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის იარაღად იყო გამოყენებული, ან რომელსაც შერჩა დანაშაულის კვალი, ან თვით იყო დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტი, აგრეთვე ყველა სხვა საგანი და დოკუმენტი, რითაც შეიძლება დანაშაულის გამოაშკარავება და დანაშაულში მონაწილე პირთა გამორკვევა.

28. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი დაწვრილებით უნდა აიწეროს, დაიბეჭდოს და საქმეს დაერთოს; ეს გარემოება აღინიშნება გაჩხრეკის, ამორკვევის თუ დათვალიერების ოქმში.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი ინახება იქ, სადაც საქმე სწარმოებს. ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი შეიძლება, ცალკე შემთხვევაში, დაებრუნოს პატრონს საქმის გარჩევამდე, უკეთუ ეს საზიანო არ იქნება საქმისათვის. უკეთუ ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი ისეთი საგანია, რაც მალე ფუჭდება, იგი გადაეცემა სათანადო დაწესებულებას იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია პატრონისათვის ამ საგნის თავის დროზე გადაცემა. აღნიშნული დაწესებულება ვალდებულია საქმის დამთავრებისას დაუბრუნოს პატრონს გადაცემული საგანი იმავე რაოდენობით ან გადაუხადოს მისი ღირებულება.

29. უკეთუ გამომკვლევს საბუთი აქვს იფიქროს, რომ ამა თუ იმ სადგომში არის ან ამა თუ იმ პირს აქვს ისეთი საგანი, რასაც შეიძლება საქმისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა ჰქონდეს, იგი მოითხოვს ამ საგნის გადაცემას და მოახდენს მის ამორკვევას. უკეთუ ეს საგანი გამომკვლევს არ გადაეცა, იგი იძულებითი წესით ჩამოართმევს მას ან მოახდენს გაჩხრეკას. ყველა ამ მოქმედების შესრულების შესახებ შესდგება განსაკუთრებული დადგენილება.

სახელმწიფო დაწესებულებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, თანამდებობის პირს და კერძო პირს უფლება არა აქვს უარი სთქვას მოთხოვნილი საგნის და დოკუმენტის წარდგენასა და მიცემაზე.

30. ისეთი დოკუმენტის გადაცემა და დათვალიერება, რაც სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას შეეხება, მოხდება სათანადო დაწესებულების მიერ პროკურორთან შეთანხმებით შემუშავებული განსაკუთრებული წესით.

ფოსტა-ტელეგრაფის კორესპონდენციის ამორკვევა შეიძლება მხოლოდ პროკურორის ნებართვით.

31. გაჩხრეკა და ამორკვევა უნდა მოხდეს დღისით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამის გადადება შეუძლებელია. გაჩხრეკას და ამორკვეეას უნდა დაესწრნენ თანამოწმენი და ის პირი, ვისაც სადგომი უჭირავს, ან მისი შინაური, ან და მეზობელი.

დაწესებულების სადგომში გაჩხრეკას და ამორკვევას უნდა დაესწროს ამ დაწესებულების წარმომადგენელი.

32. გაჩხრეკის ან ამორკვევის დაწყებისათანავე გამჩხრეკი ან ამომრკვევი ვალდებულია წარადგინოს დაწესებული ფორმით შედგენილი ორდერი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ მას უფლება აქვს მოახდინოს გაჩხრეკა ან ამორკვევა. გაჩხრეკისა და ამორკვევის დროს ჩამორთმეული დოკუმენტები და საგნები უნდა ეჩვენოს დამსწრე პირთ და ჩამოითვალოს გაჩხრეკის თუ ამორკვევის ადგილას შედგენილ განსაკუთრებულ აღწერილობაში ან და ოქმში. გაჩხრეკისა და ამორკვევის დამთავრებისას გამჩხრეკი ან ამომრკვევი შეეკითხება დაინტერესებულ პირთ—ხომ არა აქვთ მათ რაიმე პრეტენზია, რაც აღინიშნება ოქმში.

ოქმის და აღწერილობის ასლი მიეცემა გაჩხრეკილს ან მის შინაურებს.

33. გაჩხრეკის მომხდენს უფლება აქვს გააღოს დაკეტილი სადგომი და საცავი მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ პატრონი უარს იტყვის ნებაყოფლობით გაღებაზე. გამჩხრეკი ვალდებულია მიიღოს ღონისძიება იმისათვის, რომ არ გახმაურდეს გაჩხრეკილი პირის კერძო ცხოვრების ისეთი გარემოება, რაც შეიძლება გაჩხრეკის დროს აღმოჩენილ იქნეს, ხოლო საქმეს კი არ ეხებოდეს.

34. დანაშაულის ჩადენის ადგილისა და გაჩხრეკის თუ ამორკვევის დროს ჩამორთმეული დოკუმენტებ ს და სხვა საგნების დათვალიერებისას გამომკვლევმა უნდა აღწეროს ოქმში ყოველივე დათვალიერებული იმ სახით, როგორც დათვალიერების დროს იყო.

ჩამორთმეულის დათვალიერება მოხდება გაჩხრეკის ადგილას ან გამომკვლევის კამერაში.

35. გამომკვლევი არ უნდა დაესწროს სხვა სქესის პირის პირად გაჩხრეკას ან შემოწმებას, უკეთუ ამ მოქმედების შესრულებისათვის საჭიროა გასაჩხრეკი ან შესამოწმებელი პირის გატიტვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული პირი გამომკვლევის დასწრების წინააღმდეგი არ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი მესამე.

### ბრალდების წაყენება.

36. უკეთუ გამომკვლევს საკმაო საბუთი აქვს იფიქროს, რომ დანაშაული ჩადენილია ეჭვმიტანილი პირის მიერ, იგი შეადგენს დადგენილებას ამ პირის, როგორც ბრალდებულის, პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: ა) დადგენილების შემდგენი, ბ) დადგენილების შედგენის დრო და ადგილი, გ) პასუხისგებაში მიცემულის სახელი, მამის სახელი და გვარი, დ) დანაშაულის ჩადენის დრო, საქმის შინაარსი და პასუხისგებაში მიცემის საფუძველი, ე) სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია ჩადენილი დანაშაული.

**შენიშვნა.** უკეთუ არის ცნობა იმის შესახებ, რომ პასუხისგებაში მიცემული უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა, გამომკვლევი ვალდებულია ზუსტად გამოარკვიოს ეს გარემოება, შეძლებისამებრ, დოკუმენტალური ცნობებით.

37. დადგენილება გამოეცხადება პანუხისგებაში მიცემულს, მისი, როგორც ბრალდებულის, პირველივე დაკითხვის დროს, ხოლო არა უგვიანეს 48 საათისა დადგენილების შედგენის დროიდან. დადგენილების გამოცხადების დრო აღინიშნება თვით დადგენილებაზე, რასაც დაადასტურებს პასუხისგებაში მიცემული თავისი ხელმონაწერით.

38. ბრალდების წაყენების შემდეგ გამოკვლევა უნდა წარიმართოს ისეთ გარემოებათა გამოსარკვევად, რომელთაც ყველაზე უფრო არსებითი მნიშვნელობა ექნებათ დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის საზოგადოებრივი საშიშროების გამოაშკარავებისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 42,44 და 45 მუხ.), და ეს გამოკვლევა არ უნდა გართულდეს აღნიშნული თვალსაზრისით ზედმეტ გარემოებათა გამორკვევით.

39. უკეთუ დაკითხვაზე დაბარებული პასუხისგებაში მიცემული პირი არ გამოცხადდება პატივსადები მიზეზის გარეშე, იგი იძულებით უნდა იქნეს მოყვანილი.

40. უკეთუ პასუხისგებაში მიცემული ვერ მოიძებნა, ან უკეთუ იგი პატიმრობიდან გაიქცა, გამომკვლევი გასცემს განკარგულებას მის მოსაძებნად; გამომძიებელი ექვსი თვის შემდეგ, ხოლო მოკვლევის სხვა ორგანოები სამი თვის შემდეგ, დღიდან მოძებნისათვის განკარგულების გაცემისა, შეადგენენ დადგენილებას საქმის შეჩერების შესახებ, ხოლო თვით საქმეს, დადგენილებასთან ერთად, წარუდგენენ მეთვალყურე ორგანოს.

41. გამომკვლევი ვალდებულია დაჰკითხოს პასუხისგებაში მიცემულს არა უგვიანეს 24 საათისა მისი გამოცხადების ან მოყვანის დროიდან, ან მისი შეჰყრობის შესახებ ცნობის მიღებიდან. უკეთუ დაკითხვა აღნიშნული ვადის განმავლობაში ვერ მოხდა, ამ დაგვიანების მიზეზი უნდა აღინიშნოს დაკითხვის პირველსავე ოქმში.

დაკითხვა მოხდება მოწმეთა დაკითხვისათვის დადგენილი წესების მიხედვით, ხოლო პასუხისგებაში მიცემული არ აგებს პასუხს ჩვენებაზე უარის თქმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის, და მას არ მიეცემა გაფრთხილება იმ პასუხისმგებლობის შესახებ, — რაც აღნიშნულია 21 მუხლში.

42. უკეთუ გამომძიებლისა და სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოს მიერ გამოსაკვლევი საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულია თანამდებობის პირი, გამომკვლევი ვალდებულია გადასწყვიტოს საკითხი—გადაყენებულ უნდა იქნეს თუ არა პასუხისგებაში მიცემული პირი თავისი თანამდებობიდან გამოკვლევის დროის განმავლობაში, და, თუ გადააყენებს, თავისი გადაწყვეტილება უნდა აცნობოს იმ დაწესებულებას, სადაც პასუხისგებაში მიცემული მუშაობს.

თანამდებობიდან გადაყენება ისეთი საქმის გამო, რომელსაც სხვა ორგანო იკვლევს, შეიძლება მხოლოდ გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვით.

43. უკეთუ საქმიდან სჩანს, რომ პასუხისგებაში მიცემული დანაშაულის ჩადენის დროს ფსიქიურად ავად იყო ან მის შემდეგ ფსიქიურად ავად გახდა, გამომკვლევი ვალდებულია პასუხისგებაში მიცემულის ფსიქიური მდგომარეობის გამოსარკვევად შეჰკრიფოს საჭირო ცნობები, რისთვისაც მან პასუხისგებაში მიცემული უნდა შეამოწმებინოს ექიმ-ექსპერტს და აგრეთვე გამოჰკითხოს თვით პასუხისგებაში მიცემულს, მის მახლობელთ და სხვა პირთ.

უკეთუ არის საფუძველი, რომლის მიხედვითაც საფიქრებელია, რომ პასუხისგებაში მიცემული სრულწლოვანი არ არის, მისი წლოვანების გამორკვევა, როდესაც სათანადო დოკუმენტები არ მოიპოვება, მოხდება საექიმო შემოწმებით.

## თავი მეოთხე.

### აღმკვეთი ღონისძიებანი.

44. პასუხისგებაში მიცემულს ჩამოერთმევა ხელწერილი, რომ იგი გამოცხადდება გამოკვლევისა და გასამართლებისათვის, და რომ ვალდებულია, თუ ვინიცობაა საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლის, მისცეს ხოლმე ცნობა ამის შესახებ. ამის გარდა გამომკვლევს უფლება აქვს იხმაროს პასუხისგებაში მიცემულის მიმართ აღმკვეთი ღონისძიება. განსაკუთრებულ შემთხვევაში აღმკვეთი ღონისძიება შეიძლება შეეფარდოს ბრალდების წაყენებამდე იმ პირს, რომლის მიმართაც არის საკმარისი საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ უწყებული დანაშაული მან ჩაიდინა. ასეთ შემთხვევაში ბრალდება წაყენებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 15 დღე ღამისა აღმკვეთი ღონისძიების ხმარების დღიდან. უკეთუ ამ ვადაზე ბრალდების წაყენება შეუძლებელია, აღმკვეთი ღონისძიება აუცილებლად უნდა გაუქმდეს.

45. აღმკვეთი ღონისძიებაა: ა) წაუსვლელობის ხელწერილი, ბ) პირადი ან კოლექტიური თავდებობა და გ) დაპატიმრება.

იმ საკითხის გადაწყვეტის დროს—საჭიროა თუ არა აღმკვეთი ღონისძიების ხმარება, და აგრეთვე ამა თუ იმ ღონისძიების არჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: დანაშაულის სიმძიმე და პასუხისგებაში მიცემულის მამხილებელი გარემოებანი, ის, თუ რამდენად შესაძლებელია პასუხისგებაში მიცემულმა თავი აარიდოს გამოკვლევას და გასამართლებას, ან ხელი შეუშალოს ჭეშმარიტების გამოაშკარავებას, აგრეთვე პასუხისგებაში მიცემულის ხელობა, ჯანმრთელობა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ აღმკვეთ ღონისძებად დაპატიმრება იქნება მიღებული, გამომკვლევ შეადგენს დასაბუთებულ დადგენილებას, სხვა შემთხვევაში კი აღმკვეთი ღონისძიების მიღებას აღნიშნავს რეზოლიუციის სახით ოქმზე. მიღებული აღმკვეთი ღონისძიება უნდა გამოეცხადოს პასუხისგებაში მიცემულს.

**შენიშვნა 1.** სამხედრო მსახურს აღმკვეთ ღონისძიებად შეიძლება შეეფარდოს აგრეთვე უახლოესი თვალყურისდევნება იმ ნაწილში, სადაც იგი მსახურობს.

**შენიშვნა 2.** უკეთუ პასუხისგებაში მიცემული დაარღვევს წაუსვლელობის ხელწერილით ნაკისრ მოვალეობას, მას ეს ხელწერილი შეეცვლება უფრო მძიმე აღმკვეთ ღონისძიებად, რაც მას უნდა გამოეცხადოს წაუსვლელობის ხელწერილის ჩამორთმევისათანავე.

46. მეთვალყურე ორგანოს უფლება აქვს როგორც იმისა, რომ წინადადება მისცეს გამომკვლევს მიიღოს აღმკვეთი ღონისძიება, ისე იმისა, რომ გააუქმოს ან შესცვალოს უკვე მიღებული ღონისძიება. ამ წინადადების შესრულება გამომკვლევისათვის სავალდებულოა.

გამომკვლევს თვითონ შეუძლიან გააუქმოს ან შესცვალოს მის მიერ მიღებული აღმკვეთი ღონისძიება.

47. თავდებობა ნიშნავს სანდო პირისაგან ხელწერილის ჩამორთმევას, რითაც იგი იკისრებს, რომ პასუხისგებაში მიცემული გამოცხადდება ხოლმე, და რომ იგი პასუხისგებაში მიცემულს მოიყვანს გამომკვლევთან ან სასამართლოში პირველ მოთხოვნისათანავე.

უკეთუ თავდებობა კოლექტიურია, თავდებთა რიცხვს განსაზღვრავს გამომკვლევი ორგანო, ხოლო ეს რიცხვი არ შეაძლება ორზე ნაკლები იყოს.

თავდებს ხელწერილის ჩამორთმევის დროს უნდა განემარტოს, რომ პასუხს აგებს იგი იმ შემთხვევაში, უკეთუ პასუხისგებაში მიცემული თავს აარიდებს გამომკვლევთან ან სასამართლოში გამოცხადებას.

48. უკეთუ პასუხისგებაში მიცემული არ გამოცხადდება გამომკვლევთან ან სასამართლოში, თვითეულ თავდებს, თუ მას სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ქმედობა არ ჩაუდენია, გამომძიებლის, პროკურორის ან სათანადო სასამართლოს დადგენილებით დაედება ჯარიმა ას მანეთამდე, რაც არაშემძლეობის შემთხვევაში შეიცვლება იძულებით მუშაობად ერთ თვემდე.

49. დაპატიმრება აღმკვეთ ღონისძიებად შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ ისეთი დანაშაულის გამო, რისთვისაც სასამართლოს შეუძლიან პასუხისგებაში მიცემულს გადაუწყვიტოს თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით, და თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საფიქრებელია, რომ პასუხისგებაში მიცემული, უკეთუ იგი თავისუფლად იქნა, ხელს შეუშლის ქმარიტების გამოაშკარავებას ან დაემალება გამოკვლევასა და გასამართლებას.

დანარჩენი საქმეების გამო დაპატიმრება აღმკვეთ ღონისძიებად შეიძლება შეფარდებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ გამოირკვევა, რომ პასუხისგებაში მიცემულს კავშირი აქვს დამნაშავეთა წრესთან, ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ხელობა არა აქვს, ან და თავს არიდებს გამოკვლევასა და გასამართლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დანაშაულთა საქმის გამო, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის $58^{2}$, $58^{11}$, $58^{13}$ და $58^{14}$ მუხ., $58^{16}$ მუხ. 1 ნაწ. („ა" პუნქტში აღნიშნულ პირთა მიმართ), $58^{17}$ მუხ., $58^{21}$ მუხ. მე-2 ნაწ., $58^{22}$ და $58^{24}$ მუხ., 61 მუხ. მე-3 ნაწ., 118 მუხ. 1 ნაწ., 122 მუხ. მე-2 ნაწ., 123 მუხ. მე-2 ნაწ., 138, 144 და 170 მუხ. (უკეთუ სქესობრივი ძალადობა ჯგუფის მიერ იქნება ჩადენილი), 177 მუხ. „გ" და „ზ" პუნქტ., 180 მუხ. მე-3 ნაწ. და 181 მუხლში, დაპატიმრება აღმკვეთ ღონისძიებად შეიძლება შეფარდებულ იქნეს მარტოოდენ იმ მოტივით, რომ ჩადენილი დანაშაული საზოგადოებრივად საშიშია.

**შენიშვნა.** სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოთა მიერ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება მოხდება განსაკუთრებული წესებით.

50. უკეთუ აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრებაა არჩეული, გამომკვლევი ამას დაუყოვნებლივ აცნობებს მეთვალყურე ორგანოს, საპატიმრო ადგილს და იმ დაწესებულებას, სადაც პასუხისგებაში მიცემული მსახურობს. უკეთუ პასუხისგებაში მიცემული უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა, აღნიშნული ცნობა აუცილებლად უნდა გაეგზავნოს აგრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს.

საჩივარი გამომკვლევ ორგანოზე მის მიერ აღმკვეთ ღონიძიებად დაპატიმრების შეფარდების გამო შეიტანება გამომძიებელთან, ხოლო გამომძიებელზე— მეთვალყურე პროკურორთან. საჩივარი პროკურორის გადაწყვეტილების გამო შეიტანება ზემდგომ პროკურორთან. რესპუბლიკის პროკურორს გადაწყვეტილება საბოლოოა.

51. დაპატიმრება, როგორც აღმკვეთი ღონისძიება, შეიძლება მხოლოდ ორი და ერთი თვის ვადით, რაც მე-7 მუხლით დაწესებულია გამოკვლევის დამთავრებისათვის. უკეთუ გამოკვლევა, საქმის სირთულის ან სხვა გარემოების გამო, აღნიშნულ ვადაზე ვერ დამთავრდება, აღმკვეთ ღონისძიებად შეფარდებული დაპატიმრება შეიძლება, მეთვალყურე პროკურორის ნებართვით, განგრძობილ იქნეს კიდევ ერთი თვით, ისეთი შემთხვევის გარდა, როდესაც დაპატიმრება შეფარდებულია მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ პასუხისგებაში მიცემული თავისუფლად ყოფნის დროს ხელს შეუშლის საქმის გარემოებათა გამორკვევას.

## თავი მეხუთე.

### წინასწარი გამოკვლევის შეჩერება და დამთავრება და პროკურორისა და გამომძიებლის მოქმედება საქმის მოსასპობად და სამართალში მისაცემად.

52. წინასწარი გამოკვლევა შეჩერდება იმ შემთხვევაში;

ა) უკეთუ არ არის ცნობა პასუხისგებაში მიცემულის სამყოფელო ადგილის შესახებ, და

ბ) უკეთუ პასუხისგებაში მიცემული ფსიქიურად ავად არის ან შეპყრობილია სხვა რამ ძძიმე ავადმყოფობით, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი ექიმის მიერ.

აღნიშნულ შემთხვევაში გამოკვლევა შეჩერდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოკვლევით შეკრეფილია საკმარისი მასალა ბრალდების წასაყენებლად. ხოლო, უკეთუ გამოკვლევამ ასეთი მასალა ვერ შეკრიფა, საქმე არ შეჩერდება, არამედ მოისპობა.

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

გამომკვლევი თვითონ შეაჩერებს საქმეს და შეადგენს დადგენილებას, სადაც აღწერს საქმის შინაარსს და იმ გარემოებას, რის გამოც გამოკვლევა შეჩერდა.

53. გამოკვლევის შეჩერება 52 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული მიზეზით მოხდება გამოკვლევისათვის დაწესებული ვადის (7 მუხ.) გასვლისას. ამ ვადის განმავლობაში გამომკვლევი ვალდებულია მიიღოს ყველა ღონისძიება პასუხისგებაში მიცემულის მოსაძებნად.

52 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოკვლევა შეჩერდება პასუხისგებაში მიცემულის განკურნებამდე, ხოლო უკეთუ პასუხისგებაში მიცემული ფსიქიურ ან განუკურნებელ ავადმყოფად იქნება ცნობილი, საქმე წარიმართება სასამართლოში, სამედიცინო ხასიათის სოციალური დაცვის დონისძიების შესაფარდებლად, ან მოისპობა. როდესაც გამოკვლევა 52 მუხ. „ბ“ პუნქტში აღნიშნული მიზეზით უნდა შეჩერდეს, გამომკვლევს უფლება აქვს დაადგინოს, რათა პასუხისგებაში მიცემული მოთავსებულ იქნეს სათანადო სამკურნალო დაწესებულებაში მისი ავადმყოფობის გამოსარკვევად.

54. უკეთუ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში აღნიშნული საფუძველი, იმ შემთხვევებს გარდა, რაც გათვალისწინებულია 55 მუხლით, გამომკვლევი ორგანო მოსპობს საქმეს, რის შესახებაც შეადგენს დადგენილებას, სადაც აღნიშნავს საქმის შინაარსს და მისი მოსპობის საფუძველს. ამ დადგენილების ასლს გამომძიებელი გაუგზავნოს პროკურორს, გამოკვლევის სხვა ორგანო კი—სათანადო გამომძიებელს.

დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ხუთი დღის ვადაზე სათანადო გამომძიებელთან ან პროკურორთან, ამ უკანასკნელთა დადგენილება კი—ერთი თვის ვადაზე სათანადო მეთვალყურე პროკურორთან ან ზემდგომ პროკურორთან, რომელთა დადგენილებაც საბოლოოა.

**შენიშვნა.** სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოთა მიერ საქმის წარმართვის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული წესებით.

55. როდესაც არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 4[1] მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, აგრეთვე როდესაც ბრალდებულის მამხილებელი მასალა საკმარისი არ იქნება, გამომძიებელი საქმეს გაუგზავნის პროკურორს მოსასპობად თავისი დასაბუთებული დადგენილებით, გამოკვლევის სხვა ორგანო კი—სათანადო გამომძიებელს.

56. მოსპობილი ან შეჩერებული საქმის წარმოებით განახლება მოხდება იმ ორგანოს დასაბუთებული დადგენილებით, რომელმაც საქმე მოსპო ან შეაჩერა.

57. როდესაც გამომკვლევი სცნობს, რომ წინასწარი გამოკვლევა დამთავრებულია და შეკრეფილი მასალა საკმარისია სამართალში მისაცემად, იგი ვალდებულია გამოუცხადოს ეს ბრალდებულს, განუმარტოს, რომ მას უფლება აქვს გასინჯოს მთელი საქმე, მისცეს შესაძლებლობა ასეთი გასინჯვისათვის და ჰკითხოს, სურს თუ არა მას დაუმატოს რამ გამოკვლევას და, სახელდობრ, რის დამატება სურს.

უკეთუ ბრალდებული დაასახელებს ისეთ გარემოებას, რასაც საქმისათვის მნიშვნელობა აქვს და რაც წინად არ ყოფილა გამოკვლეული, გამომკვლევი ვალდებულია სათანადოდ შეავსოს გამოკვლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

58. საბრალმდებლო დასკვნაში მოკლედ უნდა აღინიშნოს საქმის შინაარსი, ყველა გარემოება როგორც პასუხისგებაში მიცემულის საწინააღმდეგო, ისე მისი სასარგებლო, აგრეთვე დამამტკიცებელი საბუთები, რაც აღწერილ გარემოებათ დაადასტურებს, და დაწვრილებითი ცნობები დამნაშავის ვინაობის შესახებ, დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი და მოტივები, ცნობები დაზარალებულის შესახებ და ბოლოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც ესა თუ ის დანაშაული გათვალისწინებულია, ხოლო უკეთუ პასუხისგებაში მიცემულს ბრალად რამდენიმე დანაშაული ედება—მუხლები, რომლებითაც გათვალისწინებულია თვითეული დანაშაული.

საბრალმდებლო დასკვნას უნდა დაერთოს სამსჯავრო სხდომაზე დასაბარებელ პირთა სია, აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, თუ რა ხანს იყო ბრალდებული პატიმრობაში.

დასაბარებელ პირთა სიაში უნდა აღინიშნოს ამ პირთა საცხოვრებელი ადგილი, სამსახურის ან მუშაობის ადგილი და საქმის ის ფურცლები, სადაც მათი ჩვენებაა.

საბრალმდებლო დასკვნის ტექსტში აღნიშნულ უნდა იქნეს აგრეთვე საქმის ის ფურცლები, რითაც დადასტურდება დასკვნის შინაარსი.

59. საბრალმდებლო დასკვნას სახალხო სასამართლოს ქვემდებარე საქმის შესახებ გამომძიებელი საქმესთან ერთად გაუგზავნის უშუალოდ სახალხო სასამართლოს, უზენაეს სასამართლოს ქვემდებარე საქმის შესახებ კი—სათანადო პროკურორს განკარგულებისათვის.

გამოკვლევის სხვა ორგანოები საბრალმდებლო დასკვნას ისეთი დანაშაულის საქმის შესახებ, რომლისათვისაც სისხლის სამართლის კოდექსით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული, გაუგზავნიან გამომძიებელს, ხოლო ყველა დანარჩენი საქმის შესახებ—უშუალოდ სახალხო სასამართლოს.

**შენიშვნა.** სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოთა მიერ საქმეების წარმართვის წესი გათვალისწინებულია განსაკუთრებული წესებით.

60. გამომძიებელი და პროკურორი, მიიღებენ რა საქმეს გამოკვლევის ორგანოსაგან: ა) შეაჩერებენ ან მოსპობენ წარმოებას, უკეთუ იქნება 52, 54 და 55 მუხლში აღნიშნული საფუძველი, ან ბ) დააბრუნებენ საქმეს თავიანთი დირექტივებით დამატებითი გამოკვლევისათვის, ან და გ) დაამტკიცებენ სამბრალმდებლო დასკვნას თვით დასკვნაზე მოკლე რეზოლიუციის წარწერით, რაც ჩაითვლება ბრალდებულის სამართალში მიცემად.

61. უკეთუ გამოირკვევა, რომ პასუხისგებაში მიცემულის მოქმედება შეიცავს სადისციპლინო წესით სადევნელი მცირე დანაშაულის ნიშნებს (სისხლის სამართლის კოდექსის III თავი), ამას სისხლის სამართლის საქმის მომსპობი აღნიშნავს დადგენილებაში საქმის მოსპობის შესახებ და ამ დადგენილების ასლს გაუგზავნის იმ დაწესებულებას, სადაც პასუხისგებაში მიცემული მსახურობს.

62. საქმის მოსპობის შესახებ გამოტანილ დადგენილებაში განსაზღვრულ უნდა იქნეს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების ბედი; ამასთანავე, დანაშაულის ჩადენის იარაღი კონფისკებულ უნდა იქნეს; ბრუნვისათვის აკრძალული ნივთები უკან არ გაიცემა და უნდა ჩაბარდეს სათანადო დაწესებულებას ან მოისპოს; ის ნივთი, რომელიც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს და რომლის გამოყენებაც შეუძლებელია, მოისპობა, ხოლო, უკეთუ დაინტერესებული პირი ან დაწესებულება ითხოვს, რომ მას ეს ნივთი მიეცეს, ეს თხოვნა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს, თუ ნივთის გაცემისათვის რაიმე დაბრკოლება არ არსებობს; დანარჩენი ნივთები მიეცემა პატრონს; უკეთუ აღიძვრის დავა აღნიშნული ნივთის კუთვნილების შესახებ, ეს დავა გადაწყდება სასამართლო წესისამებრ დაინტერესებულ პირთა დაბარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. უკეთუ გამომძიებელი ან პროკურორი საჭიროდ სცნობს საბრალმდებლო დასკვნაში ცვლილების შეტანას, იგი ვალდებულია შეადგინოს ახალი დასკვნა, რომელსაც, რეზოლიუციით სამართალში მიცემის შესახებ, საქმესთან ერთად გაუგზავნის სასამართლოს. უკეთუ გამომძიებელი ან პროკურორი არ დაეთანხმება დადგენილებას სამართალში ძიცემის შესახებ, იგი მოსპობს საქმეს. ასეთ შემთხვევაში საბრალმდებლო დასკვნა საქმიდან ამოიღება და დაებრუნება მის შემდგენელს იმის აღნიშვნით, თუ რა არ არის ამ დასკვნაში სწორი. ხოლო, უკეთუ გამომძიებელი ან პროკურორი არ დაეთანხმება დადგენილებას საქმის მოსპობის შესახებ, იგი წინადადებას მისცემს გამომკვლევ ორგანოს, რათა მან წარუდგინოს პასუხისგებაში მიცემულს საქმის მთელი წარმოება, შეასრულოს სხვა საჭირო მოქმედება, თუ ასეთი შესრულებული არ ყოფილა, და, საბრალმდებლო დასკვნის შედგენისას, მისცეს საქმეს სათანადო მსვლელობა. გამომძიებელს ან პროკურორს შეუძლიან საბრალმდებლო დასკვნის დამტკიცების დროს შესცვალოს და შეავსოს გამომკვლევის მიერ შედგენილი სია მოწმეებისა.

64. დამტკიცებული საბრალმდებლო დასკვნა საქმესთან ერთად გაეგზავნება სასამართლოს. ამასთანავე, უკეთუ პროკურორი ან გამომძიებელი საჭიროდ მიიჩნევს პირადად მონაწილეობა მიიღოს სამსჯავრო სხდომაში, იგი მოვალეა აცნობოს ეს სასამართლოს.

პროკურორის მონაწილეობა სამსჯავრო სხდომაში სავალდებულოა, როდესაც საქმეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ცალკეულ შემთხვევაში პროკურორს უფლება აქვს მიანდოს გამომძიებელს, რათა მან მონაწილეობა მიიღოს სამსჯავრო სხდომაში სახელმწიფო ბრალმდებლის სახით.

65. სასამართლოში საქმის გადაცემის შემდეგ ამ საქმესთან დაკავშირებული ყოველგვარი თხოვნა და საჩივარი გამოკვლევის ორგანოთა და პროკურორის მოქმედებაზე შეიტანება უშუალოდ სასამართლოში. საჩივრის შეტანა შეიძლება ხუთი დღე-ღამის განმავლობაში იმ წამიდან, როდესაც მოჩივარმა გაიგო განსაჩივრებული მოქმედება. აღმკვეთი ღონისძიების არჩევისა და უკანონო მოქმედების გამო საჩივრების შეტანა ვადით შეზღუდული არ არის.

## II.

სისხლის სამართლის საქმეთა გამოკვლევის ზემოაღნიშნული დროებითი წესების შესაბამისად:

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49 მუხლს სიტყვების— „პროკურატურის წევრს"—შემდეგ დაემატოს სიტყვა: „გამომძიებელს".

2. იმავე კოდექსის 59 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„59. მოწმედ, ექსპერტად, თარჯიმანად ან თანაშემწედ დაბარებული ყველა პირი ვალდებულია გამოცხადდეს. უკეთუ აღნიშნული პირნი არ გამოცხადდენ არაპატივსადები მიზეზით, აგრეთვე უკეთუ მოწმე უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე, ხოლო დანარჩენები დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, მათ, გამომძიებლის ან სათანადო სასამართლოს დადგენილებით, დაედებათ ჯარიმა 30 მანეთამდე, რაც არაშემძლეობის შემთხვევაში შეიცვლება იძულებით მუშაობად ათ დღემდე.

გამოკვლევის სხვა ორგანო ოქმს აღნიშნულ პირთა არაპატივსადები მიზეზით გამოუცხადებლობისა ან დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის შესახებ გაუგზავნის მეთვალყურე გამომძიებელს გადასახდელის დასადებად. ის, ვინც არაპატივსადები მიზეზით არ გამოცხადდება, გადასახდელის დადების მიუხედავად, შეიძლება მოყვანილ იქნეს იძულებით.

აღნიშნულ პირთ უფლება აქვთ მიიღონ გაწეული ხარჯის საზღაური და გასამრჯელო მათი ჩვეულებრივი საქმისაგან მოცდენისათვის, ხოლო ექსპერტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თარჯიმახს, ამის გარდა, გასამრჯელო დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის. საზღაურის და გასამრჯელოს რაოდენობა განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით".

**შენიშვნა.** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59 მუხლის შენიშვნა იმ რედაქციით, რაც არის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ივლისის 30-ის თარიღისა და 66 №-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 104), ძალაში რჩება.

3. იმავე კოდექსს დაემატოს 59[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„59[1]. თავისუფლად მყოფი ბრალდებული, მოწმე და ექსპერტი დაბარებულ უნდა იქნენ ტელეფონოგრამით ან უწყებით, რომელიც ჩაბარებულ უნდა იქნეს სასამართლოს გზირის მეშვეობით. სოფლად მცხოვრები ბრალდებულის, მოწმის თუ ექსპერტის უწყებით დაბარება მოხდება სათანადო სასოფლო საბჭოს მეშვეობით; განსაკუთრებულ შემთხვევაში, უკეთუ საჭიროა აღნაშნულ პირთა სასწრაფო დაბარება და უწყებულ ადგილთან სხვა რამ კავშირგაბმულობის საშუალება არ არსებობს, შეიძლება ამ პირთა დაბარება მილიციის მეშვეობით.

დაბარების უწყება გაიგზავნება ორ ცალად: პირველი ჩაბარდება დასაბარებელ პირს, ხოლო მეორე მისი ხელმოწერით უკან დაბრუნდება. უკეთუ დასაბარებელი პირი დროებით წასულია, უწყება ამ პირისათვის გადასაცემად ჩაბარდება მის შინაურებს, სახლის სამოურაოს ან უახლოეს მეზობლებს ხელწერილით.

პატიმრობაში მყოფი ბრალდებული დაბარებულ უნდა იქნეს საპატიმროს გამგის მეშვეობით ან დაკითხული თვით საპატიმროში.

სამხედრო მსახური დაბარებულ უნდა იქნეს იმ სამხედრო ნაწილის თუ დაწესებულების უფროსის მეშვეობით, სადაც იგი მსახურობს".

4. იმავე კოდექსის 160[1], 178 და 190[1] მუხლები დარჩეს ძალაში იმ რედაქციით, რაც არის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 30-ის თარიღისა და 66 №-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 104).

5. ამოშლილ იქნეს ზემოაღნიშნული კოდექსიდან 48, 61, 64, 65, 66, 73, 74, 75, 78, 233[1], 245 და 246 მუხლები.

6. იმავე კოდექსის 62, 63, 67, 68, 72 და 77 მუხლებში ამოიშალოს სიტყვები: „გამოკვლევის ან", „ან გამომძიებელს", „გამომძიებლისა თუ", „ან იმ გამომძიებელთან", „ან გამომძიებლის", „ან ერთი „გამომძიებლისაგან", „და გამომძიებლისათვის", „და გამომძიებელს" და „საგამომძიებლო მოქმედების დროს, აგრეთვე". ამასთანავე 68 მუხლში სიტყვა—„სასამართლოსა" შეიცვალოს სიტყვით: „სასამართლოსათვის".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მარტის 1.

ტფილისი.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.
მთავლ. № 503. ტირაჟი 1.300.